

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ს შორის 28.07.2017წ. №60-7-117-1503 გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, გადამცემ ქსელთან მიერთების ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი

09.01.2019წ.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში - „სსე“ ან „ელექტროსისტემა“), წარმოდგენილი რეაბილიტაციის მმართველის/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის უჩა უჩანეიშვილის სახით, ერთის მხრივ და შპს „გარდაბნის თბოსადგური-2“ (შემდგომში - „კომპანია“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მერაბ კიპაროიძის სახით, მეორეს მხრივ, ერთობლივად მოხსენიებულნი როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე „მხარედ“,

იმის გათვალისწინებით, რომ:

- მხარეთა შორის 28.07.2017წ. გაფორმდა N60-7-117-1503 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, გადამცემ ქსელზე მიერთების ხელშეკრულება და 2019 წლის 28 ნოემბრის N7142 წერილით კომპანიის მიერ მოთხოვნილ იქნა მიერთების ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება;
- ამასთან, კომპანიის მოთხოვნა ტექნიკური, ფინანსური, ორგანიზაციული თუ სხვა სახით არ იწვევს რაიმე უარყოფით შედეგებს ან/და არ ახდენს უარყოფით გავლენას.

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ს შორის გაფორმებულ 28.07.2017წ. N60-7-117-1503 გადამცემ ქსელთან მიერთების ხელშეკრულების (შემდგომში - „ხელშეკრულების“)
  - ა) შეცვალოს და თანდართული რედაქციით ჩამოყალიბდეს ხელშეკრულების დანართი N1-ის (გადამცემ ქსელზე მიერთების ტექნიკური პირობა) რედაქცია;
  - ბ) 6.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რეაქციით:

„6.1. სსე-ს კუთვნილ ქსელზე კომპანიის ობიექტის მიერთება განხორციელდეს არაუგვიანეს 2020 წლის 28 თებერვლისა.“



2. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს და განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ მასთან ერთობლიობაში, ამასთან, ხელშეკრულების სხვა პირობები რჩება უცვლელი;
3. მხარეები თანხმდებიან, რომ კომპანიას არ გააჩნია რაიმე პრეტენზია აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით;
4. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებასთან ერთად.

ელექტროსისტემა

კომპანია

სს "საქართველოს სახელმწიფო

შპს „გარდაბნის თბოსადგური-2“

ელექტროსისტემა”


საიდ. კოდი: 204995176

საიდ. კოდი: 426529759

მის: ქ.თბილისი, ბარათაშვილის ქ.№2

მის: საქართველო, გარდაბანი, დ.


აღმაშენებლის ქ. №2ბ



უჩა უჩანიშვილი

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/

რეაბილიტაციის მმართველი



მერაბ კიპარიძე

გენერალური დირექტორი

96  
TEC

“გარდაბნის თბოსადგური-2“-ის ელექტროსისტემასთან მიერთების ტექნიკური პირობები

სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა”(შემდგომში - ”სსე“) წინააღმდეგი არ არის კომბინირებული ციკლის-230 მგვტ სიმძლავრის მშენებარე „გარდაბნის თბოსადგური-2“-ის ელექტროსისტემაში ჩართვა განხორციელდეს შემდეგი ტექნიკური პირობების დაცვით:

1. შეირჩეს ტერიტორია და აშენდეს 220/11კვ ძაბვის, მოთხოვნილი სიმძლავრის შესაბამისი ქვესადგური (შემდეგში „საპროექტო 220/11კვ ქვესადგური“);
2. საპროექტო 220/11კვ ქვესადგურის კვებისათვის შეირჩეს ადგილი და ჩაიჭრას 220კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი (შემდეგში „ეგბ“) „ალავერდი“ (ქს „გარდაბანი 500“ - ქს „ალავერდი 2“);
3. 220კვ ძაბვის ეგბ „ალავერდი“-ის ჩაჭრის ადგილიდან (სომხეთის მიმართულება) საპროექტო 220/11კვ ქვესადგურამდე აშენდეს ერთჯაჭვა 220კვ ეგბ- სიგრძით 0.7 კმ (700 მეტრი);  
- საპროექტო 220/11კვ ქვესადგურში მოეწყოს ერთი სახაზო უჯრედი-220კვ ძაბვის ეგბ „ალავერდი“-ის მისაერთებლად;
4. საპროექტო 220/11კვ ქვესადგურში ასევე მოეწყოს 220კვ ძაბვის ორი სახაზო უჯრედი საპროექტო 220/11კვ ქვესადგურში ორჯაჭვა 220 კვ. ეგბ-სათვის (ქს „გარდაბანი-500“ - გარდაბნის თბოსადგური-2-ის დამაკავშირებელი ხაზი სიგრძით 3 კმ.);
5. არსებული ქს „გარდაბანი 500“ -ის 220კვ ძაბვის გამანაწილებელ მოწყობილობაში მოეწყოს ერთი სახაზო უჯრედი, ხოლო 220 კვ. ეგბ „ალავერდის“ არსებული უჯრედი გამოყენებული იქნას 220 კვ. ეგბ-ს ერთი ჯაჭვისათვის, რომელიც დააკავშირებს ქს „გარდაბნის თბოსადგური-2“-ს ქს „გარდაბანი 500“-თან.
6. 220კვ ძაბვის ეგბ „ალავერდი“-ის ჩაჭრის ადგილიდან ქს „გარდაბანი 500“-მდე დემონტირდეს 220კვ ძაბვის ეგბ „ალავერდი“-ის უბნები და არსებული ტრასის გამოყენებით საპროექტო 220/11კვ ქვესადგურიდან ქს „გარდაბანი 500“-მდე აშენდეს 220კვ ძაბვის ორჯაჭვა ეგბ („220კვ საპროექტო ქვესადგური - ქს გარდაბანი 500“);
7. ქს „გარდაბანი 500“-ის 220კვ ღია გამანაწილებელ მოწყობილობაში საპროექტო ხაზების შესვლით გამოწვეული ცვლილებები და სარეკონსტრუქციო სამუშაოები განისაზღვროს პროექტირების დროს;
8. საპროექტო 220/11კვ ქვესადგურის სქემა დაზუსტდეს პროექტირების დროს;
9. ასაშენებელი 220კვ ძაბვის ერთჯაჭვა /ორჯაჭვა ეგბ-ების ტრასა, სადენის ტიპი, მარკა და კვეთი დაზუსტდეს პროექტირების დროს;
10. მიმდებარე ქსელი შემოწმდეს მოკლედ შერთვისა და დატვირთვის დენებზე, საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს სარეკონსტრუქციო აღდგენითი სამუშაოები;
11. გამომდინარე იქიდან, რომ 220კვ ეგბ „ალავერდი“ წარმოადგენს ტრანსსასაზღვრო ელექტროგადამცემის ხაზს (სომხეთის მიმართულებით), ტრანსსასაზღვრო ელექტროგადამცემი ხაზის საანგარიშსწორებო და საკონტროლო აღრიცხვის კვანძები უნდა მოეწყოს უშუალოდ ეგბ „ალავერდზე“, სახაზო დენისა და ძაბვის ტრანსფორმატორების გამოყენებით, ამასთან:  
ა) ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო მრიცხველები უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე ტექნიკური პირობების დანართი #1.1-ში მოყვანილ მოთხოვნებს.

ბ) დენისა ტრანსფორმატორების სიზუსტის კლასი უნდა იყოს 0,2 S, ხოლო ძაბვის ტრანსფორმატორების სიზუსტის კლასი უნდა იყოს 0.2.

გ) დენის ტრანსფორმატორის ტრანსფორმაციის კოეფიციენტი უნდა იყოს სათანადო ტრანსსასაზღვრო გადადინების შესაბამისი.

დ) მე-11 პუნქტის ა, ბ და გ ქვეპუნქტების გარდა ტრანსსასაზღვრო ელექტროგადამცემ ხაზზე საანგარიშსწორებო და საკონტროლო აღრიცხვის კვანძების მიმართ წაყენებული მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს ქსელის წესების შესატყვისი მოთხოვნების შესაბამისად.

ე) იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო 220/11 ქვესადგურში უნდა მოეწყოს ორმაგი სალტის სისტემა, მაძიებელი უზრუნველყოფს თითოეული აღრიცხვის კვანძისთვის სალტეთა ნებისმიერ სისტემაზე ძაბვის (აღრიცხვის) წრედების ავტომატური გადამრთველების (Bus bar voltage authomatic selection schime/equipment) ინსტალაციას აღრიცხვის პროცესის შესანარჩუნებლად.

12. ტრანსსასაზღვრო ელექტროგადამცემი ხაზის გარდა ელექტროენერჯის საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძები უნდა მოეწყოს საბალანსო გაყოფის საზღვარზე ანუ საპროექტო 220/11 ქვესადგურიდან გამავალ ორჯაჭვა ეგზ-ებზე ქ/ს „გარდაბანი 500“-ის მიმართულებით. ასევე საპროექტო 220/11 კვ-ის ქვესადგურში სსე-ს მიერ მოსაწყობი სამი სახაზო უჯრედის დაცვისა და მართვის კონტეინერების ელ.ენერჯით მომარაგებისათვის განკუთვნილ 0.4 კვ-ის მინაერთებზე.

13. ელექტროენერჯის საკონტროლო აღრიცხვის კვანძები უნდა მოეწყოს ქს „გარდაბანი 500“-ში შემავალ ორჯაჭვა ეგზ-ებზე.

14. იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმე მიზეზით შეუძლებელი გახდება გარდაბნის თბოსადგური 2-ის მიერ სალტეზე გაშვებული ან/და მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობ(ებ)ის განსაზღვრა წინამდებარე ტექნიკური პირობების მე-12, მე-13 ან/და მე-11 პუნქტებით გათვალისწინებული აღრიცხვის კვანძების გამოყენებით შედგენილი სქემის პირობებში და ანგარიშსწორება შესაბამისად ვერ იწარმოებს სათანადო სამი, 220 კვ-იანი მინაერთის ელ.ენერჯის აღრიცხვის კვანძების მონაცემებზე დაყრდნობით (220კვ სალტის ბალანსის გამოყვანის გზით), საპროექტო 220/11 კვ ქვესადგურის 220 კვ სალტის ელ. ენერჯის ბალანსის გარდაბნის თბოსადგური 2-ის მიერ სალტეზე გაშვებული ან/და მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობ(ებ)ის დადგენის მიზნით, ელ.ენერჯის აღრიცხვის კვანძები უნდა მოეწყოს საპროექტო 220/11 კვ ქვესადგურის ძალოვანი ტრანსფორმატორ(ებ)ის მაღალ (220კვ) მხარეს.

15. წინამდებარე ტექნიკური პირობების შესაბამისად განმცხადებელმა შეადგინოს წინამდებარე ტექნიკური პირობებით განსაზღვრული ელექტროენერჯის ტრანსსასაზღვრო და არატრანსსასაზღვრო, საანგარიშსწორებო, საკონტროლო და ტექნიკური აღრიცხვის კვანძების (მათ შორის გენერატორებზე და საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებზე, აგრეთვე ტრანსფორმატორების შემყვანებზე) მოწყობის და მათი ზედა დონის ესკაა სისტემასთან დაკავშირების პროექტი და წარუდგინოს სსე-ს შესათანხმებლად, წინასწარ - წინამდებარე ტექნიკური პირობებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების დაწყებამდე, ამასთან ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძ(ებ)ი უნდა მოეწყოს საქართველოში მოქმედი ყველა შესატყვისი ნორმატიული აქტის სათანადო მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის (და არა მხოლოდ):

ა) საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2014 წლის 17 აპრილის N10 დადგენილებით დამტკიცებული „ქსელის წესების“ მე-8 თავის (აღრიცხვის წესი) შესატყვისი მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის (და არა მხოლოდ);

ბ) საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N434 დადგენილებით დადგენილი ელექტროსადგურების და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების დამტკიცების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის, მათ შორის (და არა მხოლოდ) 56-ე მუხლით განსაზღვრული სათანადო მოთხოვნების შესაბამისად;

გ) საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2010 წლის 4 ოქტომბრის N52 ბრძანებით დამტკიცებული ელექტროსადგურების და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების, მათ შორის (და არა მხოლოდ) 56-ე მუხლით განსაზღვრული სათანადო მოთხოვნების შესაბამისად;

დ) საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის მიერ 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესატყვისი მოთხოვნების, მათ შორის (და არა მხოლოდ) მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული სათანადო მოთხოვნების გათვალისწინებით.

16. აუცილებელი პირობაა, რომ ტრანსსასაზღვრო და არატრანსსასაზღვრო საანგარიშსწორებო და საკონტროლო აღრიცხვის წერტილებში დასამონტაჟებელი ელ. მრიცხველების ზედა დონის ესკაა სისტემასთან დაკავშირებისთვის პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს ორი საკომუნიკაციო არხი (ძირითადი და სარეზერვო). ძირითადი საკომუნიკაციო არხი უნდა იყოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი Ethernet ქსელი, ხოლო სარეზერვო საკომუნიკაციო არხი უნდა იყოს GPRS მომსახურები ტერმინალი/მოდემი.

17. მიმდებარე ქსელში გადამოწმებული იქნას სარელეო დაცვის და ავტომატიკის მოწყობის პრინციპები და მოხდეს დანაყენების ანგარიში;

17.1. პროექტირების დროს მოხდეს თბოსადგური 2-ის ელემენტების რელეური დაცვის და ავტომატიკის დანაყენების ანგარიში.

17.2. აღნიშნული სადგურის სისტემასთან დამაკავშირებელი ხაზები აღიჭურვოს თანამედროვე ტიპის ელეგაზური ამომრთველებით, ციფრული დაცვის, მართვის და ავტომატიკის მოწყობილობებით, დაცვის სახეობები და ტიპები პროექტირების დროს შეთანხმდეს სსე-თან.

17.3. „თბოსადგური-2“-ის ელექტრულ სისტემასთან დამაკავშირებელი 220 ელექტროგადაცემის ხაზები აღიჭურვოს დაცვის ორი კომპლექტით.

#### დაცვის პირველი კომპლექტი:

- დიფერენციალური დაცვა (ოპტიკური კაბელით);
- დისტანციური დაცვა 5 ზონა;
- 4 საფეხურიანი ნულოვანი მიმდევრობის დენური დაცვა, მიმართულებით;
- მაქსიმალური დენური დაცვა, მიმართული;
- ავარიული დენური დაცვა (2 საფეხური ფაზათაშორისო, ორი საფეხური ნულოვანი);
- ამომრთველის უარის რეზერვირება (აურმ);
- სამფაზა განმეორებითი ავტომატური ჩართვა (აგჩ);
- ერთფაზა განმეორებითი ავტომატური ჩართვა (ეაგჩ);
- სინქრონიზმის კონტროლი;
- რყევების დაფიქსირება;
- ასინქრონული სვლის ლიკვიდაცია;
- დაზიანების ადგილის განსაზღვრა;
- გარდამავალი პროცესების პარამეტრების რეგისტრაცია;
- დროის სინქრონიზაცია;

#### დაცვის მეორე კომპლექტი:

- დისტანციური დაცვა 5 ზონა;
- 4 საფეხურიანი ნულოვანი მიმდევრობის დენური დაცვა, მიმართულებით;
- მაქსიმალური დენური დაცვა, მიმართული;
- ავარიული დენური დაცვა (2 საფეხური ფაზათაშორისო, ორი საფეხური ნულოვანი);
- ამომრთველის უარის რეზერვირება (აურმ);
- სამფაზა განმეორებითი ავტომატური ჩართვა (აგჩ);
- ერთფაზა განმეორებითი ავტომატური ჩართვა (ეაგჩ);
- სინქრონიზმის კონტროლი;
- რყევების დაფიქსირება;
- ასინქრონული სვლის ლიკვიდაცია;
- დაზიანების ადგილის განსაზღვრა;
- გარდამავალი პროცესების პარამეტრების რეგისტრაცია;
- დროის სინქრონიზაცია;

17.4. ქს გარდაბანი 220-ში შეიცვალოს ეგხ „ალავერდი“ არსებული დაცვის პირველი კომპლექტის რელე. საპროექტო 220/11კვ ქვესადგურთან (“გარდაბნის თბოსადგური 2“) უნდა მოეწყოს კომუნიკაცია ორი მიმართულებით ქს „გარდაბანი-500“-სთან (გარდაბნის 220კვ-ის მართვის ფარი) და გარდაბნის კცთს-თან. კომუნიკაცია უნდა მოეწყოს მინიმუმ 24 მარღვიანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით. ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის დამაბოლოებელი მოწყობილობები თავსებადი უნდა იყოს სსე-ში არსებულ სატელეკომუნიკაციო მოწყობილობებთან. საპროექტო დოკუმენტაცია და ტექნიკური დეტალები შესათანხმებლად წარედგინოს სსე-ს;

18. გამომდინარე იქიდან, რომ 220კვ ეგხ „ალავერდი“ წარმოადგენს ტრანსსასაზღვრო ელექტროგადამცემის ხაზს (სომხეთის მიმართულებით) და ვინაიდან საპროექტო 220/11კვ ქვესადგურში ხდება ალავერდის შეჭრა, ელექტროგადამცემ ხაზზე უნდა მოეწყოს PLC-კომუნიკაცია. საპროექტო დოკუმენტაცია და ტექნიკური დეტალები შესათანხმებლად წარედგინოს სს სსე-ს;

19. საპროექტო 220/11კვ ქვესადგურმა (“გარდაბნის თბოსადგური 2“) უნდა მოაწყოს სადგურის მესამე დონის SCADA-ს სისტემა და უნდა უზრუნველყოს სადგურის ტელეინფორმაციის მიმოცვლა ეროვნულ სადისპეტჩერო ცენტრთან SCADA-ს პირველი დონის ელემენტების გამოყენებით, ეროვნული სადისპეტჩერო ცენტრიდან ენერგეტიკული მოწყობილობების და გენერატორების დისტანციურად მართვისა და რეგულირების მიზნით. ტელეინფორმაციის მოცულობა და ყველა ტექნიკური დეტალი შეთანხმდეს სსე-სთან;

20. სსე-ის მიერ უნდა მოეწყოს SCADA-ს პირველი დონის ელემენტები:


20.1. GW მონაცემთა შეგროვებისა და გადაცემის მოწყობილობა სადგურსა და ეროვნულ სადისპეტჩერო ცენტრს შორის ინფორმაციის მიმოცვლის უზრუნველყოფად;

20.2. ICON მულტიპლექსორი. გადამცემ ხაზებზე ტელე დაცვების და ავარიის საწინააღმდეგო ავტომატიკის (ასა)-ს განსახორციელებლად;

20.3. L3 დონის სვიჩები. საპროექტო 220/11კვ ქვესადგურის არსებული SCADA-ს ტელეკომუნიკაციის ქსელში ჩასართავად;

21. საპროექტო 220/11კვ ქვესადგურმა (“გარდაბნის თბოსადგური 2“) უნდა უზრუნველყოს აღნიშნული მოწყობილობების განთავსებისათვის დაცული სივრცე მიკროკლიმატით. ასევე საპროექტო 220/11კვ ქვესადგურმა (“გარდაბნის თბოსადგური 2“) უნდა უზრუნველყოს დახმარება GW-ის კონფიგურაციის და ტესტირებების სამუშაოების მიმდინარეობის დროს. საპროექტო დოკუმენტაცია და ტექნიკური დეტალები შესათანხმებლად წარედგინოს სსე-ს;

22. საპროექტო 220/11კვ ქვესადგურმა (“გარდაბნის თბოსადგური 2“) უნდა უზრუნველყოს მინიმუმ ორი ტელეფონით სადგურის მორიგე პერსონალის ეროვნულ სადისპეტჩეროსთან კავშირის



დასამყარებლად. საპროექტო დოკუმენტაცია და ტექნიკური დეტალები შესათანხმებლად წარუდგინოს სსე-ს;

23. საპროექტო 220/11კვ ქვესადგურმა ("გარდაბნის თბოსადგური 2") უნდა უზრუნველყოს SCADA-ს პირველი დონის ელემენტებისათვის უწყვეტი ელ. კვების მიწოდება. საპროექტო დოკუმენტაცია და ტექნიკური დეტალები შესათანხმებლად წარუდგინოს სსე-ს;
24. სადგურებზე არსებულ გენერატორებზე განხორციელებული უნდა იქნეს ძაბვისა და აგრეგატის ბრუნთა რიცხვის ავტომატური რეგულირება;
25. ელექტროსადგური ჩართული უნდა იყოს სიხშირის პირველად რეგულირებაში. სიხშირის რეგულატორს უნდა ჰქონდეს უნარი, რომ სტატიზმის კოეფიციენტი შეიცვალოს  $2\% \pm 8\%$  ფარგლებში; სიხშირის პირველადი რეგულირებისას, ელექტროსადგურს უნდა შეეძლოს ნომინალური სიმძლავრის არანაკლებ  $12\%$ -ის მომატება/მოკლება 30 წამის განმავლობაში.
26. გენერატორების აქტიური სიმძლავრის ნომინალური კოეფიციენტი უნდა იყოს არაუმეტეს 0.85. გენერატორებს უნდა შეეძლოთ რეაქტიული სიმძლავრის როგორც გენერირება, ასევე მოხმარება ძაბვის რეგულირების მიზნით;
27. ელექტროსადგურის აირტურბინულ აგრეგატს უნდა შეეძლოთ ორთქლტურბინული აგრეგატისგან დამოუკიდებელი მუშაობა;
28. ელექტროსადგურს უნდა გააჩნდეს დისტანციური მართვის შესაძლებლობა;
29. ელექტროსადგურს უნდა გააჩნდეს ნულიდან გაშვების შესაძლებლობა;
30. პროექტირების დროს სრულად უნდა იქნეს დაცული „ელექტროდანადგარების მოწყობის წესები“-ს, „ელექტროენერჯის გამოყენების წესები“-ს და „უსაფრთხოების ტექნიკის წესები“-ს მოთხოვნები;
31. თითოეული აგრეგატის გენერატორის, აღზენების სისტემის, სიჩქარის რეგულირების სისტემის, სისტემის სტაბილიზატორის (PSS) საპროექტო მონაცემები და მათემატიკური მოდელები (PSS/E ან DIGSILENT ფორმატში) უნდა იქნას წარდგენილი შესათანხმებლად სსე-სთვის;
32. წინამდებარე ტექნიკური პირობების საფუძველზე დამუშავდეს თბოსადგურის ელექტროსისტემაში გაშვების დოკუმენტაცია და შესათანხმებლად წარუდგინოს სსე-ს;
33. წინამდებარე ტექნიკური პირობების სრული მოცულობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, სსე იხსნის პასუხისმგებლობას მომხმარებლის საიმედო გარე ელექტრომომარაგებაზე;
34. ობიექტის ელექტრო ქსელზე მიერთება მოხდეს კომისიის მიერ შემოწმებისა და შესაბამისი აქტის გაფორმების შემდეგ.
35. კომპანიამ საპროექტო 220/11 ქვესადგურში 220კვ ძაბვის მხარეს უნდა მოაწყოს ორმაგი სალტეთა სისტემა.